2022 წლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა
(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება I - IV)

I ვარიანტი

ქართული ენა და ლიტერატურა

1	**გ**
2	**ბ**
3	**დ**

4	**მაქსიმალური ქულა: 6**	
	შეცდომა	**უნდა იყოს**
	რათ	რად
	პატარა ონავარი ... უყვარდა	პატარა ონავარს ... უყვარდა
	აუვალთ	ავუვალთ
	• თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით; • მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით; • სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.	

5	**მაქსიმალური ქულა: 2**	
	შეცდომა	**უნდა იყოს**
	ნიკოს **ხელსახოცში** და გაზეთში გაეხვია ვაშლები და რუდუნებით **ჩაედო** ჩანთაში.	ნიკოს **ხელსახოცსა** და გაზეთში გაეხვია ვაშლები და რუდუნებით **<u>ჩაეწყო / ჩაელაგებინა</u>** ჩანთაში.
	2 ქულა ამოცნობილია ორივე შეცდომა და აპლიკანტის მიერ დაწერილი წინადადება უშეცდომოა; გრამატიკული ტერმინების გამოყენებით დეტალურადაა დასაბუთებული ორივე შეცდომის მიზეზი (1. მიცემითსა და ნათესაობითში **და** კავშირით შეერთებულ სახელთაგან თანდებული მომდევნოს დაერთვის, ხოლო პირველი ბრუნვისნიშნიანი, გავრცობილი ფორმითაა წარმოდგენილი; 2. რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნაა.) **1 ქულა** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • ამოცნობილია ორივე შეცდომა, აპლიკანტის მიერ დაწერილი წინადადება უშეცდომოა; დასაბუთება წარმოდგენილია მხოლოდ ერთი შემთხვევისათვის; • ამოცნობილი და დასაბუთებულია მხოლოდ ერთი შეცდომა; • ამოცნობილია ორივე შეცდომა, აპლიკანტის მიერ დაწერილი წინადადება უშეცდომოა; დასაბუთება არ არის / ან მცდარია; **0 ქულა** ამოცნობილია მხოლოდ ერთი შეცდომა, დასაბუთება არ არის / ან მცდარია;	

6.1	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. იდენტიფიცირებული და ახსნილია ავტორის ჩანაფიქრი. აპლიკანტს გააზრებული აქვს, რომ ეს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობილი ფანდია, შენიღბვაა, სტრატეგიაა და მისთ. **1 ქულა**: სწორადაა ამოცნობილი ავტორის ჩანაფიქრი, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; მსჯელობისას აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა ახსნილი ავტორის ჩანაფიქრი / მსჯელობა მცდარია; • პასუხში წარმოდგენილია მხოლოდ პერიფრაზი; • პასუხი არ არის მოცემული.
6.2	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: მოცემულია გამართული, დასაბუთებული მსჯელობა; სწორადაა ახსნილი ტერმინის „ბაქტერია“ ავტორისეული გააზრება. აპლიკანტის პასუხში იკითხება, რომ ავტორი ნაცარქექიას მხატვრულ სახეში მხოლოდ მის ზედაპირულ თვისებებს ხედავს – სიზარმაცეს, ბაქიაობას და ა. შ. არ სცნობს მის სიბრძნეს და მის ქმედებებს მხოლოდ ნეგატიურ, მარგინალურ კონტექსტში აღიქვამს. **0 ქულა:** პასუხი არ არის ან მცდარია.
6.3	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; აპლიკანტის მიერ დასაბუთებულია, პირადად მისთვის რატომ არის მისაღები / გასაზიარებელი ერთ-ერთი ავტორის მოსაზრება. **1 ქულა**: აპლიკანტის მიერ არჩეულია ერთი ავტორის მოსაზრება, თუმცა დასაბუთება, პირადად მისთვის რატომ არის ის მისაღები / გასაზიარებელი, ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გაგებული ავტორის მოსაზრება / მსჯელობა მცდარია; • პასუხში წარმოდგენილია მხოლოდ პერიფრაზი; • პასუხი არ არის მოცემული.
6.4	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; ახსნილია ავტორისეული შეფასება - **კოლორიტული მხატვრული სახე.** აპლიკანტს გააზრებული აქვს, რომ ნაცარქექიას მხატვრული სახე „გაჯერებულია“ ნაირგვარი სპეციფიკური თვისებებით, იგი გარკვეულწილად, ამბივალენტური სახეა და მისთ. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გაგებული ავტორის შეფასება / მსჯელობა მცდარია; • პასუხი არ არის მოცემული.

7.1	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი პერსონიფიკაციის ორი ნიმუში ლექსიდან და წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა მხატვრული სახეების მიზნობრიობის შესახებ. აპლიკანტს გააზრებული აქვს, რომ პერსონიფიცირება ექსპრესიულობისა და ტრაგიზმის განწყობის შექმნას ემსახურება. **1 ქულა:** სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი პერსონიფიკაციის ორი ნიმუში ლექსიდან, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • სწორადაა ამოწერილი პერსონიფიცირების ორი ნიმუში, თუმცა აპლიკანტი არ მსჯელობს ან მისი მსჯელობა მცდარია; • ამოწერილია პერსონიფიცირების მხოლოდ ორი ნიმუში მსჯელობის გარეშე; • მსჯელობის ნიმუშად წარმოდგენილია პერსონიფიკაციის / გაპიროვნების ზოგადი განმარტება. • პასუხი არ არის მოცემული.
7.2	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: პასუხი დავალების პირობის ორივე კომპონენტს მოიცავს – დასახელებულია გამეორების 2 ძირითადი ფუნქცია (ემოციის, ექსპრესიულობის გაძლიერება / მთავარი სათქმელის აქცენტირება, მასზე ყურადღების გამახვილება / კეთილხმოვანება, მუსიკალურობა, ევფონიურობა...). დამაჯერებლად არის გაანალიზებული გამეორებულ ტაეპსა და ლექსის პირველ ტაეპს შორის ურთიერთმიმართება. **1 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • პასუხში დასახელებულია გამეორების 2 ძირითადი ფუნქცია, თუმცა გამეორებულ ტაეპსა და ლექსის პირველ ტაეპს შორის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა სქემატურია, არ არის დამაჯერებელი; • პასუხში დასახელებულია გამეორების 2 ძირითადი ფუნქცია, თუმცა გამეორებულ ტაეპსა და ლექსის პირველ ტაეპს შორის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა არამართებულია / არ არის; • პასუხში **არ არის** დასახელებული გამეორების 2 ძირითადი ფუნქცია, თუმცა გამეორებულ ტაეპსა და ლექსის პირველ ტაეპს შორის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • მსჯელობა არაადეკვატურია – პასუხში არ იკითხება არც ერთი ზემოაღნიშნული კონტექსტი; • დასახელებულია გამეორების მხოლოდ ერთი ფუნქცია; • ზოგადი ფრაზებია წარმოდგენილი – ერთმანეთს ავსებს, ერთი და იგივე სათქმელია ორივეში და მისთანანი; • პასუხში საუბარია მხოლოდ სახლის „მოწყენილობაზე“; • პასუხი არ არის მოცემული.

მათემატიკა

8	**დ**
9	**ბ**
10	**ა**
11	**გ**
12	**გ**
13	**გ**
14	**ა**
15	**დ**
16	**ბ**
17	**ბ**
18	**ა**

19	მაქსიმალური ქულა: 3
	3 ქულა: • დასაბუთებულია, რომ როდესაც მოტოციკლისტი მივა C პუნქტში, ველოსიპედისტი C პუნქტიდან დაშორებული იქნება 60 კმ-ით. • **2 ქულა:** • გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ არ არის გაცემული სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე; • გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა და გაცემულია სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე, მაგრამ არასაკმარისადაა დასაბუთებული. • **1 ქულა:** • ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. • **0 ქულა:** • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე;
20	მაქსიმალური ქულა: 4
	მოსწავლის ნაწერში დაშვებულია სულ 5 შეცდომა: 1) II. დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას. უნდა იყოს: $640 - 64 = 576$. 2) დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას. უნდა იყოს: $143 - 57 = 86$. 3) დაშვებულია შეცდომა x-ის გამოსათვლელი გამოსახულების ჩაწერისას. უნდა იყოს: $x = 7200 : (72 \cdot 5)$ ან $x = 7200 : 72 : 5$ 4) დაშვებულია შეცდომა შეკრებისას. უნდა იყოს: $34 + 28 = 62$. 5) დარღვეულია მოქმედებათა თანმიმდევრობის წესი: უნდა იყოს: $120 : 3 \cdot 2 = 40 \cdot 2$.

	აპლიკანტი მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომის აღმოჩენისა და შესწორებისათვის მიიღებს სამ-სამ ,,+“-ს. აპლიკანტმა შეიძლება მიიღოს მაქსიმუმ 15 ,,+“. • თუ აპლიკანტმა მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა აღმოაჩინა, მაგრამ ვერ შეასწორა, მაშინ მიიღებს 1 პლუსს; • თუ აპლიკანტმა აღმოაჩინა, რომ ამოცანის ამოხსნისას შეცდომაა დაშვებული, მაგრამ უშუალოდ მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა კი არ შეასწორა, არამედ თვითონ ამოხსნა სწორად ამოცანა განსხვავებული გზით, მაშინ მიიღებს 2 პლუსს; • თუ აპლიკანტმა აღმოაჩინა მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა და შეასწორა ის, მაშინ მიიღებს 3 პლუსს; • თუ აპლიკანტმა მოსწავლის სწორად შესრულებული ნაბიჯი ჩათვალა არასწორად, მაშინ მის მიერ დაგროვებული პლუსების საერთო რაოდენობას დააკლდება 1 პლუსი. შეფასება ხდება დაგროვებული ,,+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით: **პლუსების საერთო რაოდენობა:** **შეფასება** 14-15 4 ქულა 11-13 3 ქულა 8-10 2 ქულა 5-7 1 ქულა 0-4 0 ქულა

ბუნებისმეტყველება

21	**დ**
22	**ბ**
23	**ა**
24	**გ**
25	**გ**
26	**დ**
27	**ბ**
28	**ა**

29.*

ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	**3**	**1**	**2**	**1**	**2**

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

	მაქსიმალური ქულა: 1
30.1	**<u>შეფასების სქემა:</u>** • **არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ნაწილობრივ სწორი პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;** • **სწორად დასახელებული მთვარის ზედაპირზე არსებული რელიეფის ფორმა ფასდება 1 ქულით.** ***<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>***

	✓ *ისრებით ნაჩვენებია მთვარის კრატერები.*
	მაქსიმალური ქულა: 1
30.2	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ნაწილობრივ სწორი პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • მზის სისტემაში კოსმოსური სივრცის ისრებით აღნიშნული მონაკვეთის სწორად მითითებული სახელწოდება ფასდება 1 ქულით. <u>*სწორი პასუხის ნიმუში:*</u> ✓ *ისრებით ნაჩვენებია ე.წ. ასტეროიდების ძირითადი სარტყელი.*
	მაქსიმალური ქულა: 1
30.3	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, ნაწილობრივ სწორი პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული პლანეტარული სისტემა ფასდება 1 ქულით. <u>*სწორი პასუხის ნიმუში:*</u> ✓ *მესამე ილუსტრაციაზე ნაჩვენებია მარსის პლანეტარული სისტემა.*

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

31	ა
32	გ
33	დ
34	ბ
35	ბ

ანალიტიკური წერა

36.

მაქსიმალური ქულა: 9
I. შინაარსის რელევანტურობა* *ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს.* 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს; • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;

- ნაშრომი შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს;
- ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.
- ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.

თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია *<u>დავალების ყველა მოთხოვნის</u>* შესაბამისი თანმიმდევრული მსჯელობა, ორიგინალური არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია მოსაზრებათა უმეტესობისათვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი თანმიმდევრული, დამაჯერებელი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია ყველა მოსაზრება.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მოსაზრებათა ზოგიერთი ნაწილი.
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობის მცდელობა, არ ფიქსირდება არგუმენტები და ადეკვატური მაგალითები.
- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული. მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

** მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ ორი სტრუქტურული ნაწილი;

- დავალების პირობებს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა მკაფიოდ / პირდაპირ არ მიემართება დავალების პირობებში დასმულ საკითხებს / არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- ნაშრომში აბზაცები არ არის გამოყოფილი ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:
- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის უმეტესი ნაწილი ერთმანეთსა და დავალების პირობებს ლოგიკურად არ უკავშირდება;
- ნაწერში წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ერთი სტრუქტურული ნაწილი;
- პრობლემა ამოცნობილია, 1-2 წინადადებით არის იდენტიფიცირებული, თუმცა ნაშრომში საკითხის სამსჯელოდ დასმას / წამოჭრას ვერ ვხვდებით.

IV. სტილი, ლექსიკა
აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.
2 ქულა:
- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:
- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:
- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია
ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:
- დაშვებულია **ერთი-ორი** უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ***<u>არ არის</u>*** *<u>დაშვებული სინტაქსური შეცდომა,</u>* დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:
- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.
- ნაშრომში მრავლად გვხვდება პუნქტუაციური შეცდომები, რაც ცხადად მიუთითებს ენის სინტაქსური კონსტრუქციების არცოდნაზე.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.
  ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;
- თუ ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილში დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.